№7/2013

სამეცნიერო ჟურნალი

# ლოგოსი

„უგალობდით ღმერთსა... მეცნიერებით“
(ფსალმ. 46, 6-8)

SCIENTIFIC MAGAZINE

# LOGOS

'Sing praises to God...
With understanding'
(Psalm 47, 6-8)



№7/2013

## სამეცნიერო ჟურნალი

# ლოგოსი

„უგალობდით ღმერთსა... მეცნიერებით“
(ფსალმ. 46, 6-8)

SCIENTIFIC MAGAZINE

# LOGOS

'Sing praises to God...
With understanding'
(Psalm 47, 6-8)

თბილისი 2013
Tbilisi

**რედკოლეგია:**

დავით მუსხელიშვილი (მთავარი რედაქტორი)
არქიმანდრიტი ადამი (ახალაძე)
დეკანოზი ჰენრიკ პაპროცკი (პოლონეთი)
ალესანდრო მარია ბრუნი (იტალია)
ელდარ ბუბულაშვილი
ალექსანდრე დაუშვილი
დევიდ ლანკშერი (დიდი ბრიტანეთი)
ნინო ჭავჭავაძე

**Board of Editors:**

David Muskhelishvili (Chief Editor)
Archimandrite Adam (Akhaladze)
Archpriest Henryk Paprocki (Poland)
Alessandro Maria Bruni (Italy)
Eldar Bubulashvili
Alexander Daushvili
David Lankshear (UK)
Nino Chavchavadze

II საერთაშორისო კონფერენცია „შემობრუნება სულიერებისაკენ“ მიეძღვნა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლის იუბილეს

საქართველოს
მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული
ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი
INTERNATIONAL CENTRE FOR CHRISTIAN STUDIES
AT THE ORTHODOX CHURCH OF GEORGIA

UDC (uak) 2-9+27-9
I-769

**გამოცემაზე მუშაობდნენ:**

**რედაქტორი:**
ნინო კვანტალიანი

**მთარგმნელები:**
ირაკლი ლომოური
მანანა მჭედლიშვილი
მანანა კობიაშვილი

**ტექ. რედაქტორი:**
ალექსანდრე დაუშვილი
თინათინ მხეიძე

**დიზაინერი:**
არჩილ თურმანიძე

**კომპიუტერული მომსახურება:**
ანა რუაძე

**კორექტორი:**
ლელა ჟორდანია

**Team working on the issue:**

**Editor:**
Nino Kvantaliani

**Translators:**
Irakli Lomouri
Manana Mchedlishvili
Manana Kobiashvili

**Technical Editor:**
Alexander Daushvili
Tinatin Mkheidze

**Designer:**
Archil Turmanidze

**Tech Formatting**
Ana Ruadze

**Corrector:**
Lela Zhordania

წარმოდგენილი სტატიების ავტორთა მოსაზრებები შეიძლება ყოველთვის არ ემთხვეოდეს რედკოლეგიის პოზიციას.
Considerations of the represented articles' authors can sometimes not orrespond to the position of the Board of Editors.

ISSN 1987-6661

# წინათქმა

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებულმა ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრმა 2012 წლის 14-15 დეკემბერს თბილისში ჩაატარა II საერთაშორისო კონფერენცია „შემობრუნება სულიერებისაკენ". იგი მიეძღვნა მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლის იუბილეს.

კონფერენციაზე მუშაობდა სამი სექცია:

1. სარწმუნოება და მეცნიერება
2. სარწმუნოება და კულტურა
3. „ღმერთი, სამშობლო, ადამიანი"

წაკითხულ იქნა 40 მოხსენება.

კონფერენციაში მონაწილეთა შორის იყვნენ მეცნიერები ა.შ.შ.-დან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, რუსეთიდან, რუმინეთიდან, პოლონეთიდან, ჩეხეთიდან, ლიტვიდან, მღვდელმთავრები, სასულიერო პირები, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები.

სამეცნიერო მუშაობა შეაჯამა მრგვალმა მაგიდამ და დასახა შემდგომი თანამშრომლობის ამოცანები და გზები.

II საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებმა გამოთქვეს იმედი, რომ თანამედროვე საზოგადოება სწორად შეაფასებს სულიერების დეფიციტით გამოწვეულ საფრთხეებს და არ დაიშურებს ძალისხმევას აღადგინოს სულიერების როლი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. (მასალები იხილეთ ცენტრის ვებ-გვერდზე www.logos.org.ge).

სარედაქციო კოლეგია

# სარჩევი


## პლენარული სხდომა 7

### შესავალი სიტყვა

**დავით მუსხელიშვილი** — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე (საქართველო) 9

### მისალმებები

**დავით უსუფაშვილი** — საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე 12

**თამაზ გამყრელიძე** — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი 16

**დეკანოზი ჰენრიკ პაპროცკი** (პოლონეთი) — (თარგმანი: ირაკლი ლომოური) 18

### მოხსენება

**ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი)** — თანამედროვეობა და მარადიული ღირებულებები 19

## სარწმუნოება და მეცნიერება 29

**ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი)** — ადამიანი — ხატება ღმრთისა 31

**დეკანოზი ზურაბ ცხოვრებაძე** (საქართველო), **პროფესორი ალექსი გერასიმოვი** (საქართველო) — სარწმუნოებისა და მეცნიერების ურთიერთმიმართების საკითხი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეპისტოლეებში 38

**მაია რაფავა** (საქართველო) — ნიკიტა სტითატის ბერძნული ხელნაწერებით უცნობი ეპისტოლე არსენ იყალთოელის „დოგმატიკონში“ 44

**ალესანდრო მარია ბრუნი** (იტალია) — ანტიკური პერიოდის მედიცინა შუა საუკუნეების საქართველოში (თარგმანი: მანანა მჭედლიშვილი) 55

**დეკანოზი ჰენრიკ პაპროცკი** (პოლონეთი) — რელიგიის მიმართება მეცნიერებასთან მართლმადიდებლური ხედვა (თარგმანი: ირაკლი ლომოური) 60

**მაია დარჩია** (ჩეხეთი) — სამყაროსა და საზოგადოების აღქმის ჩამოყალიბების ძირითადი პრინციპები აღზრდის პროცესში 67

**ირაკლი იმედაძე** (საქართველო) — ფსიქოლოგიური მეცნიერება საქართველოში და დღევანდელობა 71

**მღვდელი გენადი ეგოროვი** (რუსეთი) — წმინდა ტიხონის სახელობის მართლმადიდებლურ ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში „ქართველოლოგიის“ სამეცნიერო მიმართულების შექმნა და განვითარება (თარგმანი: მანანა მჭედლიშვილი) 77

**დეკანოზი ბიძინა გუნია** (საქართველო) — მშვიდობისათვის ყოვლისა სოფლისა 80

**ეკა დუღაშვილი** (საქართველო) — ათონის ივერთა მონასტერი და საქართველო (წარსული, აწმყო, მომავალი) 85

**პარმენ მარგველაშვილი** (საქართველო) — რწმენისა და ცოდნის მიმართებისათვის 91

## სარწმუნოება და კულტურა 95

**დეკანოზი ნიკოლას ჩერნოკრაკი** (საფრანგეთი) — ადამიანი და მისი ურთიერთობა ღმერთთან ბიბლიური და პატრისტიკული ტრადიციების თანახმად (თარგმანი: ირაკლი ლომოური) 97

**მარიამ დიდებულიძე** (საქართველო) — ქართული ხელოვნებათმცოდნეობის წვლილი ქრისტიანული კულტურის გადარჩენაში საბჭოთა პერიოდში 103

**ასმათ ოქრობირიძე** (საქართველო) — გერგეტის სამების სახისმეტყველებისათვის 107

**დეკანოზი იოსებ ზეთეიშვილი** (ლიტვა) — ქართული პატრიოტიზმის მოძღვრები. იოანე საბანისძე 114

**თამილა მგალობლიშვილი** (საქართველო) — ქართული საგანძურის დიდი მეოხი 119

**ელდარ ბუბულაშვილი** (საქართველო) — საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღვაწლი უცხოეთის ქართული ქრისტიანული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაში (XX ს-ის 70-იანი წლები — XXI ს-ის პირველი ათეული) 127

**ჟერემი ჩაუშესკუ** (საფრანგეთი) — რა გამოწვევების წინაშე დგას წმინდა სერგის ინსტიტუტი დასავლეთის სამყაროში (თარგმანი: მანანა კობიაშვილი) 133

**ნანა ბურჭულაძე** (საქართველო) — ქართული საეკლესიო ხელოვნება XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე 136

**გიორგი ყიფიანი** (საქართველო) — მართლმადიდებელი ეკლესია და ზნეობრივი ნორმების დაცვა საქართველოს ტელესივრცეში 156

**გრივერ ფარულავა** (საქართველო) — ეროვნულისა და ინტიმურის საკრალური ბუნებისათვის ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში 164

**მაგდა სუხიაშვილი** (საქართველო) — ლიტურგიკული კითხვა — ტრადიცია და დღევანდელობა 170

**გიორგი ალიბეგაშვილი** (საქართველო) — გამოცხადების ენა (იოანე ზოსიმეს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“) 180

**ღმერთი, სამშობლო, ადამიანი** 185

**სერგო ვარდოსანიძე** (საქართველო) — გლობალიზაცია და პატრიოტიზმის პრობლემა 187

**მზია სურგულაძე** (საქართველო) — ქართული საისტორიო ტრადიცია მეექვსე მსოფლიო კრების შესახებ 190

**ალექსანდრე დაუშვილი** (საქართველო) — ილია II და საქართველოს უახლესი ისტორიის პრობლემები 196

**ოთარ ჯანელიძე** (საქართველო) — ეკლესიის ფაქტორი საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში (XX საუკუნის 80-იანი წლები). 201

**ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტი ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი)** — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სამოციქულო ღვაწლი 208

**პასტორი რობერტ სკუდიერი** (ა.შ.შ.) — სასოების ეპისტოლე გაჭირვების ჟამს (თარგმანი: მანანა მჭედლიშვილი) 212

**არმაზ ახვლედიანი** (საქართველო) — პოლიტიკური კულტურა თანამედროვე საქართველოში 218

**დევიდ ლანკშერი** (დიდი ბრიტანეთი) — ქრისტიანული ეკლესიის ჩართულობა სახელმწიფო სასკოლო სისტემაში — უელსის ეკლესიის საკითხთა კვლევა 1997 წლიდან დღემდე 221

**თინა იველაშვილი** (საქართველო) — ქალი და ოჯახი 226

**ოთარ გოგოლიშვილი** (საქართველო) — ეროვნულობა და პატრიოტიზმი 231

**ვალერიან ითონიშვილი** (საქართველო) — თაობათა ურთიერთობა ქართულ ტრადიციულ ოჯახში 236

**არქიმანდრიტი ადამი (ახალაძე)** — ცივილიზაცია და ეთიკა, საკრალური განზომილება 243

**გიორგი ჭეიშვილი** (საქართველო) — საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიები სომხეთში 246


# პლენარული სხდომა

საუფლოჲსა ჴმისაებრ, ვერ შევიდეს სასუფეველსა [B 358r II] ცათასა, რომელ არს მადლი სულისა წმიდისაჲ, ქრისტეს იესუჲს მიერ. ხოლო შობასა ამას საღმრთოსა მჴურვალისა სინანულისა და [C 195v I] ცრემლთაგან მოუგიეს ყოფაჲ.[73] რამეთუ ვითარცა ქრისტეს მიმართ ნათელღებულნი წყლისა მიერ და სულისა წმიდისა აღმოვიშვებით და ქრისტესა შევიმოსთ, თქუმულისა მისებრ: რაოდენთა[74] ქრისტეს მიერ ნათელ-გიღებიეს, ქრისტე შეგიმოსიეს. ეგრეთვე ცოდვათათვს ქრისტესგან განშორებულნი წყაროჲსა მიერ ცრემლთაჲსა და სულისა წმიდისა კუალად აღმოვიშვებით.

19. რამეთუ სადა სულისა წმიდისა მოსლვაჲ, მუნ ცრემლნიცა. ხოლო თჳნიერ სულისა წმიდისა წყარონი ცრემლთანი არა წარმოეცემიან. რომელნიცა წარმოეცნენ[75] რაჲ ჩუჱნ შორის, ნუგეშინისცემითა სულისა წმიდისაჲთა განვწმდებით ცოდვისა[76] მწინკულევანებათაგან და განვიკურნებით წყლულებათაგან მისთა, განწმედილნი წმიდასა კუალად შევეერთებით ქრისტესა, [B 358v I] ვითარცა წერილ არს: „რამეთუ ცუარი[77] შენმიერი საკურნებელ მათდა იყოს, და კურნებამანო, სოლომონ იტყჳს, დააცხრვნის ცოდვანი დიდნი“.

20. იხილე უკუჱ, ჵ სასურვე[C 195v II]ლო სულო, შენ მიერ ძიებული ჩემგან სანოაგე, რომელი მთარგმანებელობითა სიტყჳსაჲთა დავაგეთ ტაბლასა ზედა შენისა გონებისასა, რაოდენ ღონიერ-ვიქმნენით ყოველთა კეთილთაგან უღონონი და გლახაკნი. ხოლო შენ, სავსეო ყოვლითავე საღმრთოჲთა მადლითა და ტაბლასა ზედა მდიდარსა სათნოებათასა უხუჱბით[78] მშუჱბელო, ნუ უღირს-იჩენ გემოჲსხილვად ამისგან, არამედ მგემებელმან ცან, ვითარმედ ტკბილ არს უფალი და არა სათნო-იყოფს წარწყმედასა კაცთასა, არამედ ყოველთა კაცთაჲ[79] ჰნებავს ცხოვნებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ. რომელსა არცა ჰნებავს სიკუდილი ცოდვილისაჲ, ვითარ მოქცევაჲ და ცხორებაჲ[80] მისი. და მშჳდობაჲ[81] შენდა.

73 ყოფა C
74 რავდენთა BC
75 წარმოეცენნენ C
76 ცოდჳსა C
77 ცვარი C
78 უხუებით B/C
79 კაცთა C

80 ცხორება C
81 მშჳდობა C



# ანტიკური პერიოდის მედიცინა შუა საუკუნეების საქართველოში

**ალესანდრო მარია ბრუნი,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (იტალია)

## I

წინამდებარე მოხსენებაში მინდა შემოგთავაზოთ მოკლე ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა ზეგავლენა მოახდინა ძველი საქართველოს კულტურაზე ადამიანის ფიზიოლოგიასთან და ზოგადად მეცნიერებასთან დაკავშირებულმა ანტიკურმა თეორიებმა. თუმცა, ამ მოხსენების განხილვის საგანი მეტად შეზღუდულია და მის მიზანს არ წარმოადგენს ქართული მედიცინის ისტორიის ფართო განხილვა; არ იქნება საუბარი ისეთ ცნობილ ტრაქტატებზე როგორებიცაა „უსწორო კარაბადინი“ (XI საუკუნე) და „წიგნი სააქიმო“ (XIII საუკუნე).[1]

ყურადღება მინდა გავამახვილო მხოლოდ IV საუკუნის ბოლოს მოღვაწე ქრისტიანი მეცნიერისა და მწერლის, ემესას ეპისკოპოსის, ნემესიოს ემესელის თხზულებაზე „ბუნებისათვის კაცისა“ ("De natura hominis"), რომელიც ქართულად იოანე პეტრიწმა თარგმნა.[2] მე განვიხილავ მხოლოდ რამდენიმე საინტერესო საკითხს, რომლებიც უკავშირდება ნემესიოსის მეცნიერულ შეხედულებებსა და იმას, თუ როგორ აისახა ეს შეხედულებები შუა საუკუნეების საქართველოში არსებულ მეცნიერულ აზროვნებაზე.

იმ პრობლემის გასარკვევად, თუ რა ზეგავლენა მოახდინა ანტიკურმა მეცნიერებამ საქართველოს თეოლოგიურ კულტურაზე შუა საუკუნეებში, ჩვენი მკვლევრებისათვის საუკეთესო მასალას წარმოადგენს იოანე პეტრიწის თხზულებები. ქართველოლოგთათვის მისი სამეცნიერო საქმიანობის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მისი ხელნაწერები წარმოადგენს უმთავრეს მასალას შუა საუკუნეების საქართველოში ანტიკური მეცნიერების ისტორიისა და სამედიცინო ტრადიციების კვლევის საქმეში.

დღეისათვის მკვლევრებს სათანადოდ აქვთ შესწავლილი იოანე პეტრიწის „პლატონური თეოლოგია“ და პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის ელემენტების“ (Elementatio theologica) მისეული თარგმანი.[3] თუმცა, ნაკლებ არის გამოკვლეული ის, თუ როგორ აისახა საქართველოში გვიანი ანტიკური ხანის ანთროპოლოგიური, ფიზიოლოგიური და სამედიცინო თეორიები.

## II

მეცნიერთა ძალისხმევის მიუხედავად, იოანე პეტრიწთან დაკავშირებით ჩვენ მაინც არ გვაქვს სანდო ბიოგრაფიული ცნობები. სავარაუდოდ ის ცხოვრობდა XI საუკუნის მეორე ნახევრიდან XII საუკუნის პირველ ნახევრამდე. აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ ის იყო იოანე იტალოსის მოწაფე და ასევე, გელათის აკადემიის წევრი დავით IV აღმაშენებლის მეფობის პერიოდში (1073–1125), სავარაუდოდ, გაჩნდა XVIII საუკუნეში არაადეკვატური და ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებების ფონზე.

უფრო თანამედროვე კვლევების თანახმად, მას უნდა ეცხოვრა XII საუკუნის მეორე ნახევარში.[4] ე. ჭელიძის მტკიცებით, აღნიშნული ტრადიციული აზრი საფუძველს არის მოკლებული. ის თავის არგუმენტს ასაბუთებს ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული მოსაზრებით. მას შემდეგ, რაც პეტრიწის ნაშრომები შეადარა XI–XII საუკუნეებში მოღვაწე სხვა მწერლების ნაშრომებს, ის მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ გამოჩენილ ფილოსოფოსს არ უნდა მივაწეროთ ფილოსოფიური და თეოლოგი-

1 იხ.: შენგელია: 43, 47, 75
2 ვ. ტელფერის აზრით, ნემესიოსის ტრაქტატი დაიწერა 390–400 წლებს შორის (Telfer: 206). ნემესიოსის ბიოგრაფიული ცნობები მეტად მწირია, თუმცა, სავარაუდოდ, ის უნდა ყოფილიყო ემესას (სირია) ეპისკოპოსი. ეს ინფორმაცია მოცემულია ტრაქტატის სათაურში მის ზოგიერთ მანუსკრიპტში.
3 მელიქიშვილი, ალექსიძე-ბერგმანი, გიგინეიშვილი, ირემაძე.
4 იხ. ჭელიძე

ური ტერმინოლოგიის შექმნა გელათის სკოლაში. პირიქით, ის ალბათ იყენებდა უკვე არსებულ ტერმინოლოგიას და შესწორებები შეჰქონდა მასში. ამიტომ, სავარაუდოდ, პეტრიწი ცხოვრობდა XII საუკუნის ბოლოდან XIII საუკუნის დასაწყისამდე პერიოდში.

## III

ერთადერთი ქრონოლოგიური სიზუსტე პეტრიწის ნაშრომებთან დაკავშირებით არის ის, რომ „ბუნებისათვის კაცისა“ მან თარგმნა მანამდე, სანამ დაასრულებდა თავის კომენტარებს პროკლეს „თეოლოგიის ელემენტებთან“ დაკავშირებით. ამას ის ადასტურებს საკუთარი ინტერპრეტაციის ეპილოგში,[5] მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი უნდა იყოს ფსალმუნების მისეული თარგმანის წინასიტყვაობა.[6] ტექსტის მინდორზე, თარგმანის შესრულების ადგილად მითითებულია გელათის მონასტერი, შესაბამისად, "terminus post quem"-ად მიჩნეული უნდა იქნეს 1124 წელი,[7] რადგან დავით აღმაშენებლის გარდაცვალებისას კომპლექსი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული.

1914 წელს ს. გორგაძემ გამოაქვეყნა Περὶ φύσεως ἀνθρώπου-ის ძველი ქართული ვერსია.[8] კავშირი ბერძნულ კულტურასთან მხოლოდ მიახლოებით იყო გამოკვლეული. შუა საუკუნეებში ეს თხზულება ფართოდ იყო გავრცელებული როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ქრისტიანულ კულტურებში. Περὶ φύσεως ἀνθρώπου-ის უძველესი თარგმანი შესრულებულია სომხურ ენაზე VIII საუკუნეში. დიდი სამეცნიერო ღირებულების გამო მას დიდი დაფასება ჰქონდა ისლამურ კულტურაშიც: მისი არაბული ვერსია მიეკუთვნება IX საუკუნეს. ამ თხზულების დასავლეთში დამკვიდრების ტრადიცია უკავშირდება სალერნოს სამედიცინო სკოლის საქმიანობას: XI საუკუნეში ალფანუსმა შექმნა პირველი ლათინური ვერსია, ხოლო მეორე ვერსია ეკუთვნის ბურგუნდიუს პისანუსს (XII საუკუნე).[9] დასავლეთის მიერ ნემესიოსის თხზულების მიღება მიუთითებს მის უდიდეს მნიშვნელობაზე, რის გამოც იოანე პეტრიწის თარგმანი განიხილება ისტორიულ კონტექსტში და მიუთითებს ავტორის დიდ ინტერესზე მედიცინისა და ანტიკური მეცნიერების მიმართ.

## IV

ნემესიოსი იყო ქრისტიანი ანთროპოლოგი და ფიზიოლოგი მკვლევარი. ის საქმიმო პრაქტიკას არ ეწეოდა და დაინტერესებული იყო ანტიკური ბერძნული მეცნიერებით და ადამიანის სხეულის, მისი ფუნქციებისა და შემადგენელი ნაწილების შესწავლით. ის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა კავშირს სხეულსა და გონებას შორის ისეთი კომპლექსური მოქმედებებისას, როგორიცაა მოძრაობა, აღქმა, ფიქრი, წარმოსახვა, მეხსიერება და სურვილი.

Περὶ φύσεως ἀνθρώπου არის მეცნიერული ანთროპოლოგიის სისტემის შექმნის მცდელობა ქრისტიანული რწმენის გათვალისწინებით, თუმცა ტრაქტატი არ იყო მეტისმეტად მკაცრად განსაზღვრული მხოლოდ ქრისტიანული რწმენის მქონე ადამიანებისთვის და შეეძლო მკითხველთა უფრო ფართო წრის ინტერესების დაკმაყოფილება. ამის მიზეზი იყო ის, რომ იმ დროისათვის ჯერ კიდევ იმართებოდა დისკუსიები და ხდებოდა დაპირისპირება ქრისტიანებსა და სხვა რელიგიების წარმომადგენლებს შორის.

ანტიკური სამეცნიერო ტრადიცია მჭიდროდ უკავშირდებოდა ძველბერძნულ წარმართულ კულტურას, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე ჰყავდა ერთგული მიმდევრები. ქრისტიანებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ იმისათვის, რომ მიეღწიათ წარმართული რელიგიის წარმომადგენელ მეცნიერთა, სწავლულთა და მწერალთა დონისათვის. საბოლოოდ, ქრისტიან ავტორთა უმრავლესობამ გამოამჟღავნა მზადყოფნა პატივი ეცა ელინისტური კულტურის სამეცნიერო ღირებულებებისათვის და უყოყმანოდ ითავისებდა ყველა იმ ღირებულებას,

5 შრომები II
6 ჭელიძე ე. II
7 გიგინეიშვილი
8 გორგაძე ე.

9 Morani 1981; Verbeke-Moncho.



რომლებიც მიღებული იყო ბერძნულ კულტურაში.

გვიან ანტიკურ ეპოქაში წინაქრისტიანული და არაქრისტიანული პერიოდის მოაზროვნეები უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ Περὶ φύσεως ἀνθρώπου-ში ასახულია ანტიკური მედიცინის განვითარების უახლესი შედეგები. ნემესიოსი განსაკუთრებით იყო დაინტერესებული ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიური ფუნქციონირებით, როგორიცაა საკვების მიღება, მონელება, სუნთქვა, გულისცემა და რეპროდუქცია. ის იყო პირველი ქრისტიანი სწავლული, რომელმაც გამოიყენა ის სამეცნიერო და სამედიცინო კონცეფციები, რომლებიც უმთავრესად უკავშირდება გალენ პერგამონელს (130-200 ს). მისი რწმენით, ანტიკური მედიცინა ადასტურებდა მის შეხედულებას, რომ ადამიანის სხეული არის მისი სულის იარაღი. ამავდროულად, ის განიცდიდა ანტიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსების, განსაკუთრებით კი, პლატონისა და არისტოტელეს თეორიების დიდ ზეგავლენას.

ანტიკური ხანის ფილოსოფოსების ზეგავლენის მიუხედავად, მცდარი იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ ნემესიოსის აზროვნება მოკლებულია ორიგინალობას. ფაქტობრივად, ის იყო იმ მეცნიერთაგან ერთ-ერთი პირველი, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ადამიანის ტვინის სხვადასხვა ხვეულს სხვადასხვა ფუნქცია გააჩნდა.

მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გონების ფუნქციონირება უკავშირდება ტვინის პარკუჭებში არსებულ კონკრეტულ ადგილებს, სწავლულთა მიერ მიჩნეული იყო როგორც გალენის თეორიების ქრისტიანულ ფილოსოფიასთან გაერთიანების მცდელობა.[10] ამ შეხედულებას რამდენიმე საუკუნის განმავლობაში იზიარებდნენ როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. აღნიშნულ მოსაზრებას ეთანხმებოდა, მაგალითად, ავიცენა (980-1037 წწ.).

ეს მიღწევა უნდა განიხილებოდეს როგორც იმ დროის უდიდესი სიახლე. თუ გადავხედავთ მედიცინის ისტორიას, დავინახავთ, რომ ადამიანის ცნობიერებაში თავის ტვინისა და ნერვული სისტემის როლი დიდი ხნის განმავლობაში არ იყო ისე ცნობილი, როგორც ეს არის დღეს.[11] არისტოტელე და სტოიკი მიიჩნევდნენ, რომ ცნობიერება უკავშირდებოდა გულს. თუმცა ეს შეხედულება გაბათილებულ იქნა მე-3 საუკუნეში (ჰეროფილუსისა და ერასისტრატუს ალექსანდრიელის მიერ) ნერვული სისტემის აღმოჩენის, აგრეთვე გალენიოსის ექსპერიმენტების საფუძველზე. მაშინ ტვინი აღიარებული იქნა, როგორც ადამიანის ფუნქციონირების ცენტრი.[12] Περὶ φύσεως ἀνθρώπου-ის მე-6, მე-11, მე-12 და მე-13 თავების გაცნობის შემდეგ ჩვენ გავიგებთ, რომ ადამიანის ისეთი ძირითადი ფუნქციები, როგორიცაა წარმოსახვა (τὸ φανταστικόν), ყნოსვა (ἡ ὄσφρησις), ფიქრი (τὸ διανοητικόν) და მეხსიერება (τὸ μνημονευτικόν) სხვადასხვა ვერტიკალთან არის დაკავშირებული.

როგორც ჩანს, ნემესიოსმა აღქმა განალაგა ორ გასწვრივ ვერტიკალზე, ცნობიერება შუა ვერტიკალზე, მეხსიერება მომდევნო ვერტიკალზე და წარმოსახვა თავის ტვინის ორ წინა ხვეულში.[13]

## VI

იოანე პეტრიწის მიერ თხზულების „ბუნებისათვის კაცისა“ თარგმნა იმის მაჩვენებელია, რომ XII საუკუნეში საქართველოს კულტურა მზად იყო ანტიკური მეცნიერებისა და მედიცინის საკითხების არსებული დროისათვის სათანადო გაცნობისათვის. იოანე პეტრიწის მიერ თხზულების ამ ნაწილების თარგმანი მაღალ დონეზეა შესრულებული.

**წარმოსახვა.**[14] წარმოსახვასთან დაკავშირებით ის წერს:[15] **„...არამედ ორღანო მისდა წინაჲთნი ტვნებრივთა ძარღუთა მუცელნი და მათ-შორისი მფშვნვიერებითი სული და მომზადებაჲ გრძნობის-საცავთაჲ...“.**

10 Eijk 2008.

11 Finger: 19; Eijk 2008
12 von Staden.
13 Finger.
14 Cf. : «...ὄργανα δὲ αὐτοῦ αἱ πρόσθιοι τοῦ ἐγκεφάλου κοιλίαι καὶ τὸ ἐν αὐταῖς ψυχικὸν πνεῦμα καὶ τὰ ἐξ αὐτῶν νεῦρα τὰ διάβροχα τῷ ψυχικῷ πνεύματι καὶ ἡ κατασκευὴ τῶν αἰσθητηρίων...» (NE: 56)
15 გორგაძე: 73

**ყნოსვა.**[16] ყნოსვასთან დაკავშირებით ის წერს:[17] **„…ხოლო ყნოსაჲ იქმნების ვინაჲვე ცხვრთა-მიერ ხოლო განჴვლის კიდეთამდის წინაჲთ-კერძოთა ტვნის მუცელთასა…“.**

**ფიქრი.**[18] ფიქრთან დაკავშირებით ის წერს:[19] **„…შესაქმედ ვინაჲ-მე და მათადცა საშუალი მუცელი ტვნისაჲ და მის-შორისი მფშჳნვარებითი სული…“.**

**მეხსიერება.**[20] მეხსიერებასთან დაკავშირებით ის წერს:[21] **„…ხოლო ამისდაცა ორღანო უკანაჲთ-კერძო მუცელი ტვნისაჲ, რომელსა ნათხემვად და ტვნის-მიერად უწოდენ, და მის შორისი მფშჳნვიერებითი სული. ვინაჲთგან უკუჱ საგრძნობელთა დასაწყისად და ძირად წინაჲთ-კერძოთა მუცელთა ვიტყჳთ ტვნისათა, ხოლო სიტყვერებისათჳს საშუალსა, არამედ მომჴსენებლობისათჳს უკანოჲ-კერძოსა, საჭირო არს ჩუჱნებად, ვითარმედ ესრესახე არს ესე, რათა არა ვეთნნეთ უტყუად მრწმუნებელნი…“.**

## VII

იოანე პეტრიწის ნაშრომები ანტიკური ხანის მეცნიერებისა და ქრისტიანული სარწმუნოების სინთეზისა და თანხმობის ბრწყინვალე ნიმუშია. ჩვენ ვხედავთ, რომ მისი ინტერესები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ თეოლოგიით, ანტიკური ფილოსოფიითა და ლინგვისტიკით. იოანე პეტრიწი ფიზიოლოგიისა და მედიცინის საკითხებშიც კომპეტენტური იყო. მისი ცოდნა ამ სფეროში იმ დროისათვის უმაღლეს დონეს შეესაბამებოდა.

მემკვიდრეობა, რომელიც მან დატოვა ხელნაწერების სახით, წარმოადგენს ფუნდამენტალურ მასალას იმის გასაცნობად, თუ რა ზეგავლენას ახდენდა ანტიკური მეცნიერება ქართულ თეოლოგიურ აზროვნებაზე. მისი ნაშრომების წყალობით ქართულ ენაში მე-12 საუკუნიდან დამკვიდრდა სამედიცინო ტერმინოლოგია. ცნობილია ისიც, რომ მედიცინის საკითხებით დაინტერესებული იყვნენ მისი თანამედროვე სხვა მწიგნობრები და გელათის აკადემიის წევრები. გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნე, რამდენიმე სამედიცინო თხზულება, როგორებიცაა „უსწორო კარაბადინი“ და „წიგნი სააქიმო“[22] ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში. აქ მე ხაზი მინდა გავუსვა კიდევ ერთ ასპექტს იმასთან დაკავშირებით, რომ შუა საუკუნეების ქართული კულტურა იძლეოდა მეცნიერებისა და თეოლოგიის სინთეზის შესაძლებლობას.

1979 წელს თავის სააღდგომო ეპისტოლეში მისი უწმიდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II შეეხო პრობლემას ადრინდელ ქრისტიანობასთან დაკავშირებით. ის საუბრობს იმაზე, თუ როგორ ავსებს რწმენა და მეცნიერება ერთმანეთს[23] („…ცოდნა და რწმენა განუყრელადაა დაკავშირებული და ავსებს ურთიერთს…“) და მაგალითად მოჰყავს კლემენტ ალექსანდრიელის სიტყვები („…არ არსებობს ცოდნა, რომელიც დაკავშირებული არ იყოს რწმენასთან, ისევე, როგორც არ არსებობს რწმენა, რომელიც დამოკიდებული არ იქნება ცოდნაზე…“).[24]

ქართული სასულიერო ლიტერატურის ისტორიიდან ჩანს, რომ მეცნიერებასა და რელიგიას, ცოდნასა და რწმენას შორის კავშირის პრობლემა მნიშვნელოვანი იყო შუა საუკუნეების საქართველოში, განსაკუთრებით კი გელათის სკოლაში.

როგორც დავინახეთ, ამგვარი დიალოგი მეცნიერებასა და რელიგიას შორის ყოველთვის არსებობდა შუა საუკუნეების ქართული კულტურისა და თეოლოგიური ლიტერატურის ისტორიაში. სინთეზის დიდი ნიჭით დაჯილდოვებულ იოანე პეტრიწს ხელეწიფებოდა ანტიკური მეცნიერების შერწყმა ქრისტიანულ თეოლოგიასთან.

მისი უდიდესი კულტურული, მეცნიერული და თეოლოგიური მემკვიდრეობა იმსახურებს მეცნიერთა დიდ ყურადღებას.

იმედი მაქვს, რომ ეს მცირე და მოკრძალებული ნაშრომი ხელს შეუწყობს ახალ კვლევებს ქართული სასულიერო ლიტერატურის ისტორიაში მეცნიერებასა და თეოლოგიას შორის კავშირის დასადგენად.

16 Cf. : «…Ἡ δὲ ὄσφρησις γίνεται μὲν διὰ τῶν ῥινῶν, περαίνεται δὲ εἰς τὰ πέρατα
τῶν προσθίων κοιλιῶν τοῦ ἐγκεφάλου· αὗται γὰρ ἀτμωδέσταται τὴν φύσιν οὖσαι τῶν ἀτμῶν ῥᾳδίως ἀντιλαμβάνονται.» (NE: 67).

17 გორგაძე: 88

18 Cf.: «… ὄργανον δὲ καὶ τούτου ἡ μέση κοιλία τοῦ ἐγκεφάλου καὶ τὸ ψυχικὸν πνεῦμα τὸ ἐν αὐτῇ…» (NE: 68).

19 გორგაძე: 89

20 Cf.: « …ὄργανον δὲ καὶ τούτου ἡ ὄπισθεν κοιλία τοῦ ἐγκεφάλου, ἣν καὶ παρεγκεφαλίδα καὶ ἐγκρανίδα καλοῦσι, καὶ τὸ ἐν αὐτῷ ψυχικὸν πνεῦμα. ἐπειδὴ δὲ τῶν μὲν αἰσθήσεων ἀρχὰς καὶ ῥίζας τὰς ἔμπροσθεν εἶναι κοιλίας φαμὲν τοῦ ἐγκεφάλου, τοῦ δὲ διανοητικοῦ τὴν μέσην, τοῦ δὲ μνημονευτικοῦ τὴν ὄπισθεν, ἀναγκαῖόν ἐστιν ἐπιδεῖξαι, εἰ ταῦτα τοῦτον ἔχει τὸν τρόπον, ἵνα μὴ δόξωμεν ἀλόγως πιστεύειν τοῖς λεγομένοις…» (NE: 56).

21 გორგაძე: 91

22 On the history of medicine in Georgia see: Šengelija: 43, 47, 72.

23 ეპისტოლენი, I:34.

24 See: Stromata V, I.



## ლიტერატურა:


1. **Alexidze-Bergemann** = L. Alexidze – L. Bergemann (Hrsg), Ioane Petrizi. Kommentar zur Elementatio theologica des Proklos. Übersetzung aus dem Altgeorgischen, Anmerkungen, Indices und Einleitung. Amsterdam-Philadelphia, 2009.
2. **ჭელიძე** = ე. ჭელიძე, იოანე პეტრიწის ცხოვრება და მოღვაწეობა, in religia, 1995, 1-3: 76-89; 1994, 3-5: 133-126.
3. **Eijk 2008** = P.J. van der Eijk, Nemesius of Emesa and early brain mapping, in The Lancet – 9 August 2008, vol. 372, Issue 9637: 440-441.
4. **ეპისტოლენი**, I = სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II. ეპისტოლენი. წიგნი I. თბილისი 2009.
5. **Finger** = S. Finger, Origins of Neuroscience: A History of Explorations into Brain Function, Oxford, 1994: 18.
6. **Gigineishvili** = L. Gigineishvili, The Platonic theology of Ioane Petritsi. Piscataway, 2007.
7. **გორგაძე** = შ. გორგაძე, ბუნებისათვის კაცისა. ბერძნულითგან გადმოღებული იოანე პეტრიწის მიერ. თბილისი, 1914.
8. **Iremadze** = T. Iremadze, Konzeptionen des Denkens im Neuplatonismus. Zur Rezeption der Proklischen Philosophie im deutschen und georgischen Mittelalter: Dietrich von Freiberg – Berthold von Moosburg – Joane Petrizi. Bochum, 2004.
9. მელიქიშვილი = დ. მელიქიშვილი (რედ.). იოანე პეტრიწი. განმარტება პროკლე დიადოხოსის ღვთისმეტყველების საფუძვლებისა. თბილისი, 1989.
10. **Morani 1981** = M. Morani, La tradizione manoscritta del „De Natura hominis“ di Nemesio. Milano, 1981.
11. **NE** = Nemesii Emeseni De natura Hominis. Edidit M. Morani. Leipzig, 1987.
12. **Šengelija** = M.S. Šengelija, Istorija mediciny Gruzii. Tbilisi, 1984.
13. **შრომები** II = შ. ნუცუბიძე, ს. ყაუხჩიშვილი (რედ.), იოანე პეტრიწის შრომები, ტომი II. განმარტებაი პროკლესთვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის. თბილისი, 1937.
14. **Telfer** = W. Telfer, Cyril of Jerusalem and Nemesius of Emesa. London, 1955.
15. **Verbeke-Moncho** = G. Verbeke J.R. Moncho, Némésius d'émèse. De natura hominis. Traduction de Burgundio de Pise. édition critique avec une introduction sur l'anthropologie de Némésius. Leiden, 1975.
16. **von Staden** = H. von Staden, Herophilos: The art of medicine in Early Alexandria. Cambrigde, 1989.